ქ. თბილისში თეატრალური აფიშების გასაკრავი საინფორმაციო ჯიხურების დიზაინისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის კონკურსის
საკონკურსო კომისიის სხდომის
ო ქ მ ი №3

ქ. თბილისი „4" ივნისი, 2015 წ.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე:
ნინო ხატისკაცი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მერის მოადგილე;
საკონკურსო კომისიის წევრები:
ია მაქაცარია-ჩხაიძე - საკონკურსო კომისიის წევრი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მეიის კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსი;
დავით მორალიშვილი – საკონკურსო კომისიის წევრი – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის უფროსი;
ლევან მიქავა – საკონკურსო კომისიის წევრი – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი;
ელგუჯა მაკალათია - საკონკურსო კომისიის წევრი - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;

საკონკურსო კომისიის აპარატის წევრები:
მაია კვარაცხელია - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის საქონლისა და მომსახურების შესყიდვების განყოფილების უფროსი;
სალომე კახიძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის საქონლისა და მომსახურების შესყიდვების განყოფილების მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი.

დღის წესრიგი:
ქ. თბილისში თეატრალური აფიშების გასაკრავი საინფორმაციო ჯიხურების დიზაინისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის კონკურსში (№1651) მონაწილე კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების შერჩევა/შეფასება.
ნინო ხატისკაცის გამოსვლა, რომელმაც აღნიშნა, რომ საკონკურსო კომისია დღემდე ვერ შეიკრიბა, რადგანაც კულტურის საქალაქო სამსახურის საკონკურსო კომისიის წევრი მაკა ნასრაშვილი აღარ ასრულებს კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილის მოვალეობას, ხოლო კომისიის წევრი ია მაქაცარია-ჩხაიძე, რომელიც ამ სამსახურის მეორე წარმომადგენელია იმყოფებოდა შვებულებაში. ამის გამო, ვინაიდან შესყიდვის ინიციატორის სამსახურის ვერცერთი წევრი ვერ დაესწრებოდა შერჩევა-შეფასების ეტაპს, საკონკურსო კომისიის სხდომის თარიღი გადმოიწია დღემდე.

მოისმინეს:
საკონკურსო კომისიის წევრები გაეცნენ კონკურსის შედეგებს, რომლის თანახმადაც, აღნიშნულ კონკურსში წინადადების მიღების დასრულებამდე 3 (სამი) კონკურსანტის მიერ იქნა წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება, ესენია:
1. ფიზიკური პირი ოთარ მურჯიკნელი;
2. შპს „იკორთა 2007"
3. შპს „გაბუნი"

საკონკურსო კომისიამ განიხილა **ფიზიკური პირის ოთარ მურჯიკნელის** მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინიდადება, განხილვისას აღმოჩნდა, რომ კონკურსანტის მიერ წარმოდგენილია: საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, საკონუკურსო წინადადების ფასი, ერთიანი პრეზენტაცია, რომელიც შედგება ვიზუალისა და განმარტებითი ბარათისაგან, ელექტრონული ვერსია _ კომპაქტური დისკების - CD სახით.

კომისიის წევრებმა ასევე განიხილეს **შპს „იკორთა 2007"-ის** მიერ წარმოდგენილი წინადადება და განხილვისას აღმოჩნდა, რომ კონკურსანტის მიერ წარმოდგენილია: საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, საკონუკურსო წინადადების ფასი და რეკვიზიტები დანართი 1-ის შესაბამისად, ერთიანი პრეზენტაცია, რომელიც შედგება ვიზუალისა და განმარტებითი ბარათისაგან, ასევე ელექტრონული ვერსია _ კომპაქტური დისკების - CD სახით. აღმოჩნდა რომ კონკურსანტის სავარაუდო ხარჯთაღრიცხვის ნაწილში დაშვებულია მექანიკური შეცდომები, რომელთა შესწორებით არ იცვლება ჯიხურის მოწყობის სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა, შესაბამისად კომისიის მიერ აღნიშნული საკითხი არ გახდა კონკურსანტის დისკვალიფიკაციის საფუძველი.

კომისიის წევრებმა ასევე განიხილეს **შპს „გაბუნი"-ს** მიერ წარმოდგენილი წინადადება და განხილვისას აღმოჩნდა, რომ კონკურსანტის მიერ წარმოდგენილია: საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი,

საკონუკურსო წინადადების ფასი და რეკვიზიტები დანართი 1-ის შესაბამისად, ერთიანი პრეზენტაცია, რომელიც შედგება ვიზუალისა და განმარტებითი ბარათისაგან, და ელექტრონული ვერსია _ კომპაქტური დისკების - CD სახით.

კომისიის წევრებმა მოიწონეს წარმოდგენილი წინადადებები და მოახდინეს საკონკურსო წინადადებების შეფასება საკონკურსო დოკუმენტაციაში მოცემული კრიტერიუმების მიხედვით. (იხ. დანართი N1)

აღმოჩნდა, რომ კომისიის წევრების მიერ განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა **ფიზიკური პირის, ოთარ მურჯიკნელის** მიერ წარმოდგენილმა წინადადებამ. საკონკურსო კომისიის წევრმა ია მაქაცარია-ჩხაიძემ ისაუბრა და ყურადღება გაამახვილა მოწონებული ესკიზის დიზაინსა და ჯიხურის გლუვ ფორმებზე, რაც უფრო ადვილს ხდის მის გაწმენდასა და დასუფთავებას.

აღნიშნულის შემდეგ, საკონკურსო კომისიამ შეაფასა წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებები და ქულათა უმრავლესობა მიენიჭა **ფიზიკური პირის ოთარ მურჯიკნელის** მიერ წარმოდგენილ წინადადებას (იხ. შეფასების ამსახველი ცხრილი).

კომისიამ დაადგინა:

1. კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდეს **ფ/პ ოთარ მურჯიკნელი** და არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში გაფორმდეს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.
2. აღნიშნულის შესახებ ეცნობოს კონკურსანტებს.

კომისიის თავმჯდომარე	**/წინო ხატისკაცი/**
კომისიის წევრი	**/ია მაქაცარია-ჩხაიძე/**
კომისიის წევრი	**/დავით მორალიშვილი/**
კომისიის წევრი	**/ლევან მიქავა/**
კომისიის წევრი	**/ელგუჯა მაკალათია/**
აპარატის წევრი	**/მაია კვარაცხელია/**
აპარატის წევრი	**/სალომე კახიძე/**

კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების შეფასების ამსახველი ცხრილი

ქ. თბილისში თეატრალური აფიშების გასაკრავი საინფორმაციო ჯიხურების დიზაინისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის კონკურსის
საკონკურსო კომისიის სხდომის
ო ქ მ ი №3-ის დანართი N1

საკონკურსო კომისიის წევრები	ფიზიკური პირი ოთარი მურჯიკნელი (5046, 68 ლარი)		შპს "იკორთა 2007" (5327 ლარი)		შპს "გაბუნი" (5847,64 ლარი)	
ნინო ხატისკაცი	კონცეფცია და ესკიზი - 6 ქულა	5	კონცეფცია და ესკიზი - 6 ქულა	4	კონცეფცია და ესკიზი - 6 ქულა	3
	სავარაუდო ღირებულება -4 ქულა	4	სავარაუდო ღირებულება -4 ქულა	3	სავარაუდო ღირებულება -4 ქულა	2
ია მაქაცარია-ჩხაიძე	კონცეფცია და ესკიზი - 6 ქულა	5	კონცეფცია და ესკიზი - 6 ქულა	3	კონცეფცია და ესკიზი - 6 ქულა	4
	სავარაუდო ღირებულება -4 ქულა	4	სავარაუდო ღირებულება -4 ქულა	3	სავარაუდო ღირებულება -4 ქულა	2
დავით მორალიშვილი	კონცეფცია და ესკიზი - 6 ქულა	6	კონცეფცია და ესკიზი - 6 ქულა	3	კონცეფცია და ესკიზი - 6 ქულა	3
	სავარაუდო ღირებულება -4 ქულა	4	სავარაუდო ღირებულება - 4 ქულა	3	სავარაუდო ღირებულება -4 ქულა	2
ლევან მიქავა	კონცეფცია და ესკიზი - 6 ქულა	5	კონცეფცია და ესკიზი - 6 ქულა	4	კონცეფცია და ესკიზი - 6 ქულა	4
	სავარაუდო ღირებულება -4 ქულა	4	სავარაუდო ღირებულება - 4 ქულა	3	სავარაუდო ღირებულება - 4 ქულა	2
ელგუჯა მაკალათია	კონცეფცია და ესკიზი - 6 ქულა	6	კონცეფცია და ესკიზი - 6 ქულა	4	კონცეფცია და ესკიზი - 6 ქულა	5
	სავარაუდო ღირებულება - 4 ქულა	4	სავარაუდო ღირებულება -4 ქულა	3	სავარაუდო ღირებულება - 4 ქულა	2
		სულ ჯამი: 47		სულ ჯამი: 33		სულ ჯამი: 29